საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030176570146719

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/7309 **23 / აპრილი / 2019 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო სამხარეო და რაიონული ცენტრების ოფისებში ახორციელებს სარემონტო სამუშაოებს თანამშრომელთა, კერძოდ სოციალური მუშაკების მხრიდან ბენეფიციარებთან დამოუკიდებლად მოსალაპარაკებელი ოთახების მოსაწყობად. ასევე, სრულდება 2018 წელს დაწყებული გლდანის ოფისის სარემონტო სამუშაოები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭიროა „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (აპარატი)“ (პროგრამული კოდი - 27 01 04 01) პროგრამის მეორე კვარტლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების გაზრდა ამავე პროგრამის მეოთხე კვარტლის ასიგნების შემცირების ხარჯზე.

კვარტლების დაბალანსების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ამავე პროგრამის „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნება.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური